საქართველოს ავტონომიის საკითხისათვის
(1906 წელი, გაზეთი „სპრავედლივოსტი“)

მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილების შემდეგ საქართველო დარწმუნდა, რომ თავისი გეოგრაფიული მდგომარეობისა და საკუთარი შვილების შედარებით მცირერიცხოვნების გამო მას არ ძალუძს დაიცვას საკუთარი სახელმწიფო დამოუკიდებლობა მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, რომ ამ მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალი ერთმორწმუნე რუს ხალხთან შეერთება, მაგრამ აუცილებლად ავტონომიურ საწყისებზე, რადგან სრული შინაგანი თვითმმართველობის გარეშე, მაშინდელი ქართველების აზრით, მათ სამშობლოს დენაციონალიზაცია, გახრწნა და დემორალიზაცია ემუქრებოდა, რაც უფრო საშიში იქნებოდა იმ უბედურებებზე, რასაც იგი განიცდიდა გარეშე მტრების, აზიელი დამპყრობლების მხრივ.

ამიტომ იმ პირობათა პროექტი, რომელთა მიხედვით რუსეთთან საქართველოს შეერთება უნდა მომხდარიყო, შედგენილი ქართველთა მიერ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და შემდეგ მათ მიერ რუსეთის მთავრობისადმი პეტერბურგს გაგზავნილი, მოითხოვდა სრულ შინაგან თვითმმართველობას, ავტონომიასა და შთამომავლობით მმართველს ქართული სამეფო გვარეულობიდან.

იმპერატორი ალექსანდრე პირველი მზად იყო ზუსტად შეესრულებინა საქართველოს მთავრობისა და ხალხის სურვილები, მაგრამ რუსი გენერლები წინააღმდეგნი იყვნენ; მათ უფრო მოხერხებულად მიაჩნდათ უბრალო შეერთება და შესძლეს კიდევ თავიანთ მხარეზე გადაიყვანათ დამჯერე იმპერატორი...

ნაცვლად ყოფილი ნახევრად პატრიარქარული რეჟიმისა, რომელშიაც ბევრი გულითადი ელემენტი იყო, მრავალტანჯულ საქართველოში დამყარდა უსულგულო და ანგარებიანი პოლიტიკურ-ბიოკრატიული რეჟიმი, რომელმაც საქართველოსთვის ყველაზე უფრო ცუდ საშიშროებას გადააჭარბა.

საქართველოს ეკლესია სულ დაიმონეს და რუსული სინოდის კანცელარიად აქციეს; სულ გააუქმეს ეროვნული სკოლა; წინანდელი სწრაფი სასამართლო, რომელიც ხალხის საკანონმდებლო შეზღუდვებს პასუხობდა, შეცვალეს დაუსრულებელი წერითი სასამართლო ჩხირკედელობით; წინანდელი მარტივი ადმინისტრაცია შეცვალა ურთულესმა, დახლართულმა ადმინისტრაციულმა მექანიზმმა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას, ქართული ენა განიდევნა სკოლიდან, სასამართლოდან, ადმინისტრაციიდან და ეკლესიის სფეროშიაც იგი სრულ მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. გაძლიერდა მემამულეების მიერ გლეხების ყვლეფა, რაც ძველ საქართველოში არ იყო და არც შეიძლებოდა მძიმე ყოფილიყო, რადგან მაშინ ქართველ გლეხობას იარაღი ჰქონდა და დაუსჯელად მას ვერავინ შეავიწროვებდა თუ საქართველოში მუდმივი ჯარი არ იდგა. რუსული ბატონობის დროს კი ბიუროკრატია ყოველთვის მემამულეთა მხარეზე იდგა და მუდივი ჯარის დახმარებით სრულ შესაძლებლობას აძლევდა მათ გლეხები ეყვლიფათ... გაძლიერდა ყვლეფა სხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის მხრივაც, რადგან მან უმჭიდროესი კავშირი დაამყარა ბიუროკრატიასთან ანგარების, სიხარბის და შეუბრალებელი ექსპლუატაციის საწყისებზე, ის კი მართალია, რომ

გარეგნული მშვიდობა მეტად მტკიცედ დამკვიდრდა და საქართველომ თავიდან აიცილა აზიური ორდების შემოსევები.

თუ რამდენად მავნე და დამღუპველი იყო საქართველოსთვის ეს პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი, ყველაზე ნათლად აქედან ჩანს, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ხელებიდან სხვის ხელებში გადავიდა ასიათასობით დესეტინა მიწა, მაშინ როცა ქართულ ხელებში სხვა ერთა კუთვნილი მიწების არცერთი დესეტინა არ ჩავარდნილა...

მდგომარეობა იმდენად აუტანელი იყო, რომ ქართველები იძულებული შეიქნენ დაევიწყებიათ თავიანთი ძალების შეუსაბამობაც ბიუროკრატიის ძალებთან, თავიანთი ძმური დამოკიდებულებაც რუსებთან და მოეწყო აჯანყება კახეთსა და მთიან რაიონებში, ხოლო თბილისში 30-იან წლებში ფართო შეთქმულებაც შეედგინათ. ამ აღშფოთების მიზანი იყო არა რუსეთისაგან გამოყოფა, რადგან რუსეთის გარეშე ქართველებს შეუძლებლად მიაჩნდათ თავიანთი მშვიდობიანი არსებობა, არამედ უცხოური ბიუროკრატიის მძიმე ტვირთის თავიდან მოშორება და სრული თვითმმართველობის დამყარება რუსეთის სახელმწიფოს ეგიდის ქვეშ.

განმანთავისუფლებელი მოძრაობის პერიოდის დამკვიდრებამ ბოლოს დროს არამც თუ შეამსუბუქა საქართველოს ტანჯვა, არამედ გააძლიერა იგი. საქართველოს ცენტრალური ნაწილი ქართლი - საშინლად დააზარალა სამხედრო მდგომარეობამ. დასავლეთმა საქართველომ კი მთლიანი დარბევა განიცადა. და რის გულისთვის? იმისათის, რომ მოსახლეობა, რუსი ხალხის საუკეთესო ნაწილთან ერთად, ემზადებოდა დაეცვა, მისი უარესი რეაქციული ნაწილისაგან იმ თავისუფლებათა ცხოვრებაში გატარება, რომლებიც გამოცხადდა გასული წლის 17 ოქტომბრის უზენაესი მანიფესტით.

თეთრი ტერორის მიზანი იყო განდევნილიყო მოსახლეობის შეგნებიდან ყოველგვარი ლიბერალური იდეები და გადაექციათ იგი ბიუროკრატიის წინანდელ მორჩილ ლაქიად. ჩვენთან ჩატარებული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგი ნათლად გვიჩვენებს, რომ გამოვიდა რაღაც დიამეტრიულად საწინააღმდეგო. მიუხედავად დაშინებისა და მუქარისა, რომლებიც მოსახლეობას დააცხრა, მან არ აირჩია არცერთი კანდიდატი, რომელიც ასე თუ ისე ბიუროკრატიისათვის სასურველი იყო. პირიქით, არჩეულები ყველგან სოციალ-ფედერალისტები ან სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

უკანასკნელნი სრულიად ამაოდ ითვლებიან ავტონომიის პრინციპულ მოწინააღმდეგეებად. მართალია, ისინი, ტაქტიკური მიზნებისა და პარტიული დისციპლინის გამო ხმამაღლა უარყოფენ ტერმინს „ავტონომია“, მაგრამ სინამდვილეში, პრაქტიკულად ახორციელებენ მას ოფიციალურ ავტონომისტებზე ადრე. განა გასულ წელს მათ არ დაამყარეს ავტონომიური წყობილება გურიასა და საქართველოს სხვა დასავლეთ ოლქებში, სადაც გააუქმეს ბიუროკრატიული სასამართლო და ადმინისტრაცია, აირჩიეს საკუთარი მოსამართლეები და ადმინისტრატორები, გამოსცეს სავალდებულო გადაწყვეტილებები აგრარულ და მუშათა საკითხებზე, ყოველივე ეს სავსებით არ ეთანხმება ცენტრალურ კანონმდებლობას.

ამიტომ, ოდნავადაც არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით რომ, საქართველოს ფართო თვითმმართველობა, შეერთებული ადგილობრივი მოთხოვნილებების შესაბამისი კანონების გამოცემის უფლებასთან, ერთი სიტყვით, ავტონომია, არის ყველა ქართველთა და ყველა იმ პარტიათა ლოზუნგი, რომლებიც ბოლო დროს საქართველოს ფარგლებში გაფორმდნენ.

ავტონომიის მოთხოვნას ქართველთათვის ყველა საფუძველი აქვს. ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების ისტორია საქართველოს ავტონომიას საფუძვლად უდებს უდავო ისტორიულ უფლებას. საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას ბუნებრივად ხდის. საქართველოსათვის ავტონომიის უკიდურესი საჭიროება მას აუცილებლობად აქცევს. ბოლოს, იგივე საჭიროა მთელ სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რადგან მხოლოდ ფართო თვითმმართველობის პირობებში შეიძლება იქცეს საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ჯანსაღ და სასარგებლო ორგანულ ნაწილად. მხოლოდ მაშინ, თუ ისარგებლებს ავტონომიური წყობის სიკეთეებით, საქართველო შეძლებს დაუკავშირდეს რუსეთს ძმური ურთიერთობით, რაც უხეშად იქნა გაწყვეტილი უსულგულო და შეუბრალებელი ბიუროკრატიული მმართველობის მიერ მთელი ასწლეულის განმავლობაში...

მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს სხვა ხალხების მცირედი ნაწილიც. აქედან აღმოცენდა მეტად მნიშვნელოვანი კითვა: იქნება კი მათთვისაც სასარგებლო ქართული ავტონომია? რასაკვირველია, იქნება, ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ ისინი ისარგებლებენ სრული თანაბარი უფლებებით ქართველებთან ერთად და მთლიანად დატკბებიან იმ თავისუფლებით, რომლებსაც უკანასკნელნი შეიძენენ და ეს იმიტომ, რომ ქართველებს, მიუხედავად ბევრი მათი ხარვეზებისა, ერთი იშვიათი თვისება მოსდგამთ: რასობრივი განსაკუთრებულობის, შთამომავლობითი უპირატესობების არ არსებობა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი უდავო პატივისცემა. ეს თვისება მჟღავნდება არა მარტო საერო ცხოვრებაში, არამედ რელიგიურ სფეროშიც. ყოველი რელიგია მტკიცებს, რომ მხოლოდ თვითონაა მაცხონებელი, სხვა რელიგიებს კი ჯოჯოხეთში მივყავართო. ქართველი ხალხი კი ყოველთვის ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს, რომ მაცხონებელი ყველა რელიგიაა, მაგრამ უკეთესი ცხონება, უკეთესი სამოთხე მხოლოდ მართლმადიდებელთა ხვედრია. აქედან ქართული ხალხური ანდაზა: ყველა თავის რჯულზე ცხონდება.

ეს უეჭველი ეროვნული და რელიგიური მოთმინება, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად ქართულ ხასიათს უძველესი დროიდან და მოდგმიდან მოდგმას გადაეცა. იმის გამო, რომ ქართული ხასიათის თავისებურება მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ფარგლებში მცხოვრები სხვა ხალხების სამშობლოს ავტონომიის მოხერხებულობასთან, მეტად საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ მას ისტორიულად... ყველა ისტორიული მონაცემებით, სამართლიანობა და ჰუმანურობა სხვა ეროვნებებისადმი გამოარჩევდა ქართველებს მათი ისტორიული არსებობის ყველა პერიოდში. ის ხალხები, რომლებიც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ქართველებთან სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობდნენ და არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც რელიგიისა, არც ენისა და სკოლის, არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით. საქართველოში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ებრაელები, მაგრამ მათ, შუა საუკუნეებშიაც კი, როცა რელიგიური ფანატიზმი

ძლიერი იყო, არავინ დევნიდა. ებრაელების არაადამიანურ დარბევაში, რაც ხშირად ხდებოდა ევროპაში და ახლაც არც თუ იშვიათად მეორდება რუსეთში, არ შერცხვენილა ქართული მიწა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელების მთავარი საქმიანობა საქართველოშიაც ვაჭრობა იყო. ვაჭრობა კი ყველგან იწვევს ძლიერ ანტიპატიას, რადგან მისი მიზნები ექსპლუატატორულია. თათრები ისე კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით საქართველოს სამეფოში, რომ თავგანწირულად იბრძოდნენ მისთვის თვით თათარი დამპყრობლების წინააღმდეგ. სომხები, რომლებმაც თავი შეაფარეს საქართველოს ტერიტორიას, არამც თუ მტრობას განიცდიდნენ ქართველთა მხრივ, არამედ სარგებლობდნენ თანაბარუფლებიანობის ყველა სიკეთით, იკავებდნენ უმაღლეს თანამდებობებს სახელმწიფოში შთამომავლობის მიხედვითაც კი.

შესანიშნავია ისიც, რომ რაც უფრო ძლიერი იყო საქართველო, მით უფრო დიდსულოვნებით, სამართლიანობითა და ჰუმანურობით ეპყრობოდა იგი მისი გამგებლობის ქვეშ მყოფ სხვა ეროვნებათა შვილებს.

სომეხი ისტორიკოსები მოწიწებითა და მადლობით მოიხსენიებენ უმძლავრეს მეფეს დავით აღმაშენებელს, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნეში მეფობდა (შეცდომაა გაპარული, უნდა იყოს მეთორმეტე საუკუნეში-პუბლიკატორი) და რომლის დროსაც საქართველო უძლიერესი სახელმწიფო გახდა - ეკავა მთელი ტერიტორია შავი ზღვის ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე. იგივე მეფე, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანების რიგს მიაკუთვნა მისი ღვთისმოსაობის გამო, დრო და დრო, თავის მემკვიდრის თანხლებით მოინახულებდა ხოლმე არა მარტო სომეხთა ტაძარს, არამედ მაჰმადიანთა მეჩეთსაც და ამით გამოხატავდა თავის სრულ რწმენათ-თმენასა და პატივისცემას სინდისის თავისუფლებისადმი. მისმა ბადიშის შვილმა სახელოვანმა მეფე თამარმა, რომლის დროსაც საქართველოს სამეფომ თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწია მე-12 საუკუნეში, გააუქმა თავის სამეფოში არა მარტო სიკვდილით, არამედ ფიზიკური დასჯაც ყველა ქვეშევრდომისა, წარმოშობისა თუ რელიგიის მიუხედავად; როგორც ამას გვიმტკიცებს არა მარტო ქართული ქრონიკა (ქართლის ცხოვრება), არამედ საქართველოს ისტორიის უცხოელი სპეციალისტებიც, მათ შორის ცნობილი ორიენტალისტი ბროსე. „მეფე თამარი ისე კეთილი და გულმოწყალე იყო. ამბობს ბროსე, რომ ბრძანა არცერთი მისი ქვეშევრდომი არ დაესაჯათ სიკვდილით, არც როზგით, არც სხეულის დამაზიანებელი სხვა სასჯელით. მთელი თავისი მეფობის დროს თამარს არც ერთი ქვეშევრდომის წვეთი სისხლიც არ დაუღვრია, რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ მათ“ (საქართველოს ისტორია, ბროსე გვ.163).

მოტანილი უდავო ისტორიული ფაქტებიდან უეჭველად გამომდინარეობს ის აუცილებელი დასკვნა, რომ ავტონომიურ საქართველოშ შეეძლებათ ისევე კარგად იცხოვრონ რუსებმაც, სომხებმაც, თათრებმაც, ოსებმაცა და სხვა ხალხებმაც, როგორც თვით ქართველობა. ისინი საერთოდ ძმური ძალისხმევით წინ წასწევენ სამშობლოს სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას, სრულიად თავისუფლად განავითარებენ რა ამით თავიანთ ეროვნულ თავისებურებას.

წაგებული დარჩებიან მხოლოდ უსულგულო, ანგარებიანი და რეაქციული ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც იძულებული იქნებიან თავიანთი ადგილები

დაუთმონ ჰუმანური და მოწინავე პირებს, ყველა ეროვნებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

და ბოლოს, ნუ დავივიწყებთ, რომ უმცირესობის უფლებები რუსეთის სახელმწიფოს ავტონომიურ ოლქებში მთლიანად გარანტირებული იქნებიან საერთო რუსული პარლამენტებით, რომელმაც ორგანული სტატუსი უნდა გამოიმუშაოს.

ამრიგად, ავტონომიური საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ყველა ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, დაემყარება ნამდვილად ურყევ საფუძველს.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>
თბილისის 26-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა **ნინო თოფურიამ.**

12 აპრილი, 2020 წელი
#დარჩისახლში